განკარგულება:**g-31. 31262373**
თარიღი:**25/08/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

2026 წლის 25 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N3 ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N3 ქუჩას ეწოდოს წმინდა ბარბარეს სახელი თანდართული რუკის შესაბამისად,

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ფეხმავალთა ბილიკი
ბაღა ალიევის II ფეხმავალთა
ფეხმავალთა ბილიკი
ფეხმავალთა ბილიკი
ფეხმავალთა ბილიკი
ფეხ-ბილიკი
ფეხ-ბილიკი I ნაგები ნაგები
NABR
1
2
2
4
6
8
4